საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	78	100

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 07/07-2021 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლევან კოკორაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლევან კოკორაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ლევან კოკორაშვილის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებებითა და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კი მივიჩნიე, რომ ვინაიდან არ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს იგი თითოეული კომპონენტის მიხედვით უნდა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად, გავაკეთე დასკვნა, რომ ლევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25	ლევან კოკორაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. იგი საჯარო მოსმენაზე ღიად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. თუმცა, რიგ შემთხვევაში კანდიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ამასთან, ზოგჯერ მის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა იყო არათანმიმდევრული და გაცემული პასუხები სრულყოფილად არ პასუხობდა დასმული შეკითხვების შინაარსს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად მუშაობს „ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირში“. ამასთან, ლევან კოკორაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები არის თანმიმდევრული, ლოგიკური და იგი უმეტესად კარგად არის დასაბუთებული. თუმცა, უნდა

[1] ლევან კოკორაშვილის მიერ შედგენილი შუამდგომლობა - უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ლევან კოკორაშვილის მიერ შედგენილი საჩივარი - ახმეტის სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის ბრძანებაზე.

			აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები და მსჯელობა ზოგჯერ არ იყო სრულყოფილი და დამაჯერებელი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	ლევან კოკორაშვილი საჯარო მოსმენაზე გამოირჩეოდა გამართული მეტყველებითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. იგი ღიად და თავისუფლად აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს. თუმცა, ზოგჯერ უჭირდა პოზიციის ნათლად და ლაკონურად გადმოცემა. ამასთან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოცემის უნარი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ იგი გამოირჩევა მიზანდასახულობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10	ლევან კოკორაშვილი განაცხადში მხოლოდ იმას უთითებს, რომ იგი 2002-2003 წლებში „საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან“ ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით არსებულ რამდენიმე პროექტში.
პროფესიული აქტივობა	3	5	კანდიდატის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ იმის აღნიშვნა არის შესაძლებელი, რომ იგი 2003-2004 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ახაშენის საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასში. თუმცა, იგი ამჟამად არ არის დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით.

ქულათა ჯამი	78	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბერს N1/138 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის N1/214 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან კოკორაშვილი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლევან კოკორაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლევან კოკორაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ლევან კოკორაშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ლევან კოკორაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები,		

	მახასიათებლები და სხვ. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>* გამოკითხული რეკომენდატორი და ლევან კოკორაშვილთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, ობიექტური, მიუკერძოებელი და პუნქტუალური. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და იგი ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს. კერძოდ, მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი</u>* ლევან კოკორაშვილის დახასიათებისას რეკომენდატორი უთითებს, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი. თუმცა, აღნიშნავს, რომ კანდიდატის სისუსტეს წარმოადგენს მისი სენტიმენტალური, მგრძნობიარე და ფაქიზი ხასიათი. ლევან კოკორაშვილის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას რაც შეეხება, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი</u>* ლევან კოკორაშვილი საჯარო მოსმენაზე იყო თავდაჭერილი, გაწონასწორებული, კორექტული და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, რეკომენდატორი კანდიდატის დახასიათებისას უთითებს, რომ იგი როგორც პროფესიული ისე ეთიკური თვალსაზრისით გამოირჩევა თავშეკავებითა და კომპეტენტურობით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. სასამართლოში

	წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ ლევან კოკორაშვილი მხარედ მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში: სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანს წარმოადგენდა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი იყო: მორალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანს წარმოადგენდა: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი იყო: ზიანის ანაზღაურება, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანს წარმოადგენდა: ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სამართალწარმოება, სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი იყო: მორალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანს წარმოადგენდა: თანხის დაკისრება, მაგრამ ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი იყო: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, კანდიდატი განაცხადში უთითებს შემდეგს: „2012 წლის 25 ივლისს დაპატიმრებულ ვიქენი გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის მიერ ხოლო 2013 წლის 15 აპრილის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ხათუნა ხარჩილავამ სასამართლო დარბაზიდან დაუყოვნებლივ გამათავისუფლა გამამართლებელი განაჩენით რომლითაც სრულიად უდანაშაულოდ მცნო და ეს განაჩენი შემდგომში სრულად დარჩა ძალაში უცვლელად სააპელაციო და საკასაციო პალატების მიერ"; „ბრალდებაში ვარ სრულად გამართლებული 2013 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ხ.ხარჩილავას განაჩენით"; „უკანონო პატიმრობიდან გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით და მთავარ პროკურატურას მოვთხოვე მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაცია, რაც სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული ჩემი მოთხოვნა და მთავარ პროკურატურას დაეკისრა ჩემს

	სასარგებლოდ ზარალის კომპენსაცია". უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 5 დეკემბრის ინფორმაციით კანდიდატი მიმდინარე წლის მდგომარეობით არ არის ნასამართლევი, მაგრამ დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო ბანკში ფიქსირდება ინფორმაცია მის მიმართ წარსულში სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მე-2 ნაწილითა და 369-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით). *<u>პიროვნულ და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი</u>* ლევან კოკორაშვილის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორი და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ იგი კოლეგებში და საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ნდობითა და პროფესიული თუ პიროვნული რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით კი მხოლოდ იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ ლევან კოკორაშვილი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ლევან კოკორაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ, ასევე, „ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირისა" და „საქველმოქმედო ფონდი პატრიარქი პატრიარქთა შორისის" დირექტორად. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ლევან კოკორაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 29 ივნისს ლევან კოკორაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. ლევან კოკორაშვილი სამოქალაქო სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით ღიად გამოიხატავდა საკუთარ ხედვებს და პოზიციის გასამყარებლად აქტიურად იყენებდა საერთო სასამართლოების პრაქტიკას. თუმცა, კანდიდატს გაუჭირდა ყველა დასმული შეკითხვისათვის პასუხის გაცემა. ამასთან, მის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა რიგ შემთხვევებში იყო ზოგადი, არათანმიმდევრული და იგი სრულყოფილად არ შეესაბამებოდა დასმული

[2] იხ. ლევან კოკორაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=-VhYhv4I16I

	შეკითხვის შინაარსს. უნდა ითქვას, ისიც რომ კონკრეტული სამართლებრივი საკითხების განხილვისას ლევან კოკორაშვილს არ მოუხმია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა. ამასთან, ლევან კოკორაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. თუმცა, მის მიერ გაცემულ პასუხებში იყო რიგი ხარვეზები და შეუსაბამობები. აგრეთვე, ლევან კოკორაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ კანდიდატს აქვს პრობლემურ და საყურადღებო საკითხებზე კონცენტრირებისა და პოზიციის თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი. *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი</u>* ლევან კოკორაშვილის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 19 წელს, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ გამოცდილებაზე. კანდიდატი ამჟამად მუშაობს „ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირში“. ამასთან, ლევან კოკორაშვილის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დოკუმენტებში თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული და გაანალიზებული მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას გაუჭირდა საკუთარი პოზიციის მყარად და არგუმენტირებულად დასაბუთება. *<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი</u>* როგორც უკვე აღვნიშნე, ლევან კოკორაშვილმა საჯარო მოსმენაზე დატოვა გაწონასწორებული, მშვიდი და კორექტული პიროვნების შთაბეჭდილება. იგი ძირითადად მეტყველებდა გამართულად და საკუთარი მოსაზრებას გადმოსცემდა ღიად და თავისუფლად. ამასთან, გამოირჩეოდა სხვისი აზრის მოთმინების მოსმენის უნარით. თუმცა, რიგ შემთხვევაში მას გაუჭირდა საკუთარი პოზიციის ნათლად და ლაკონურად გადმოცემა.

	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის გაანალიზების შედეგად მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის თანმიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად გადმოცემის უნარი. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელი</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ლევან კოკორაშვილი გამოირჩევა მიზანდასახულობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პროფესიული თვისებებს დადებითად აფასებენ მასთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები. *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებელი</u>* ლევან კოკორაშვილის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ იგი 2002-2003 წლებში „საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან“ ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით არსებულ რამოდენიმე პროექტში, რის საფუძველზეც სტატისტიკური მიმართულებით გააკეთა საკუთარი ანალიზი და დაწერა სამეცნიერო დასკვნა. ამასთან, 2003-2004 წლებში კანდიდატი ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას გურჯაანის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, ახაშენის საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასებში - ასწავლიდა სამართლის თეორიას და საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს. ასევე, იგი სხვადასხვა საჯარო სკოლებში ატარებდა სემინარებს სახელმწიფო სამართლის, საზოგადოებაში კანონისა და თვითშეგნების პატივისცემისა და დამკვიდრების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლებში ლევან კოკორაშვილს მიენიჭა წარმატებული ქველმოქმედის ჯილდო. თუმცა, კანდიდატი განაცხადში არ უთითებს ინფორმაციას ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროფესიულ აქტივობებთან დაკავშირებით.

	შეჯამება ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ლევან კოკორაშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 78 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 07/07-2021 წელი